

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი



საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

გარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით
„სხვადასხვა საოფისე მოწყობილობა და საკანცელარიო ნივთების“ შესყიდვა
CPV 30190000

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება - 10 808 ლარი

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია “სახელმწიფო შესყიდვების” საქართველოს კანონის და
“გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ”
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე.

ქ.თბილისი

2016 წელი

სატენდერო დოკუმენტაცია

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის;
 2. ტექნიკური დავალება;
 3. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტების ნუსხა;
 4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი;
 5. დანართი #1 ფასების ცხრილი (ფორმა);
 6. დანართი #2 რეკვიზიტები (ფორმა);
-

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

- 1.1. ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემასი (შემდგომში - სისტემა);
 - 1.2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.
 - 1.3. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.
 - 1.4. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად;
 - 1.5. პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება;
 - 1.6. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის - „კითხვა/პასუხი“ მეშვეობით.
 - 1.7. შესყიდვის პროცედურების შესახებ ინფორმაციისა და განმარტებების მიღება შეუძლია ნებისმიერ პირს სატენდერო კომისიის აპარატში, საკონტაქტო პირები:
 - ✓ გიორგი ზაქარაია- ტელ: 294 22 48; 591100435 ელექტრონული ფოსტა: gzakaraia@tcj.gov.ge
 - ✓ მათა მამისურაძე - ტელ: 294 22 48; 599104875. ელექტრონული ფოსტა: mamaisuradze@tcj.gov.ge
-

2. ტექნიკური დავალება:

2.1 შესყიდვის ობიექტია: სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის საჭიროებისათვის საკანცელარიო ნივთების შესყიდვა დანართის მიხედვით:

N	საკანცელარიო საქონელი	cpv	მახასიათებელი	რაოდენობა	განზ.
1	ფერადი მარკერი დაფის ფლიპმარტის (შავი, წითელი, მწვანე, ლურჯი ...)	30192125	კორპუსის სიგრძე არანაკლებ 125მმ; თავის სიგრძე არანაკლებ 7მმ/ დიამეტრი არანაკლებ 4მმ, სხვადასხვა ფერის	1500	ცალი
2	საწერი კალამი ბურთულიანი	30192122	ბურთულიანი კალამი თხევადმელნიანი , პლასტმასის გამჭვირვალე ტონირებული კორპუსით, თავსახურით, 0.7 მმ წვერით, რეზინის ერგონომიული ხელსაკიდით, დაბოლოებაზე ფერის აღმნიშვნელი ,პლასტმასის ხუფით.	7000	ცალი
3	სკრეპი ფერადი	30197220	33 მმ, შეკვრაში 100ც	20	ცალი
4	ჭიკარტი ფერადი	30197120	ფერადთავიანი, ლურსმანი, პლასტმასის შეფუთვით; შეკვრაში 35 ცალი	200	ცალი
5	ფერადი ფურცლები A4	30192122	ფერადი ქაღალდი A4 80გ 100 ფურცელიანი	100	შეკვრა
6	ფლიფართის ქაღალდი	30197621	60*90, შეკვრაში 20 ფურცელიანი	900	ცალი
7	სტეპლერის ტყვია 24/6	30197110	№24/6 თვის, მასალის სისქე 57 მკრ, 1000 ცალიანი შეკვრა	200	კოლოფი
8	კორექტორი თხევადი ფუნჯით	30192160	კორექტორი თხევადი ფუნჯით -20 გრ	50	ცალი
9	კლიფსი დამჭერი დიდი	30193400	კლიფსი დამჭერი 51 მ.მ- იანი მეტალის,	360	ცალი
10	კლიფსი დამჭერი საშუალო	30193400	კლიფსი დამჭერი 25 მ.მ -იანი მეტალის,	360	ცალი
11	CD დისკი	30192000	CD-R 52x700MB	400	ცალი
12	კალმების ჩასადები საოფისე (მეტალის მოწნული)	30192127	მეტალის ბადე, ოთკუთხედი ფორმის, რეზინის რბილი ჩასაფენით, სიმაღლე არანაკლებ 9,5სმ, სიგანე არანაკლებ 6სმ	50	ცალი
13	საკანცელარიო დანა სტანდარტული საშუალო	30192000	საშუალო, მეტალის კომბინირებული კორპუსით, სათადარიგო დანის პირით, მრავალჯერადი გამოყენების, საჭრელი პირების შეცვლის და დანის პირის არანაკლებ 10 პოზიციაზე დაფიქსირების ფუნქციით, ტარი პლასტმასის, რეზინის ელემენტებით, დანის პირის მიმართველი და ჩამკეტი ფიქსატორი ლითონის, დანის პირის მიმართველი ბუდის საშუალო სიგრძე არანაკლებ 120 მმ, სიგანე არაუმეტეს 12 მმ	30	ცალი
14	დაფის საშლელი სითხე	30195700	დაფის საწმენდი სეტი, კომპლექტში საწმენდ ნაჭერთან ერთად	10	ბალონი
15	ელემენტი პატარა	30192000	ელემენტი პატარა ზომა AAA 1.5 წვრილი	200	ცალი
16	სწრაფჩამკერი ფერებში	30197200	სწრაფჩამკერი (ლურჯი, წითელი, მწვანე) თხელი პლასტიკური ყდით, მეტალის მექანიზმით	1000	ცალი
17	A4 ფურცელის დასამაგრებელი დაფა	30192170	სამდივნო დაფა A4 (ტყავის შემცველი ზედაპირით)	10	ცალი
18	კონვერტი A5 ზომის	30199200	კონვერტი A5 160x230მმ, თვითწებვადი	500	ცალი

შენიშვნა:

- მიმწოდებელმა თავისი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს საქონლის ადგილზე მიტანა.
- იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღეში დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების/ აკრედიტაციის მქონე პირის მიერ გაცემული საექსპერტო ან/და აუდიტორული, ან/და საშემფასებლო დასკვნით (პრეტენდენტის მიერ, დასკვნასთან ერთად, ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის შესაბამისი უფლებამოსილების/აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი), რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.
- ტენდერში მონაწილეობით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ ეთანხმება ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი

- შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, სანდრო ეულის 3..

4. მიწოდების გრაფიკი და ვადები

- მიმწოდებელმა საქონლის ადგილზე მიწოდება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) სამუშაო დღეში.

ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, 2017 წლის საკუთარი სახსრებით.
2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება, გაწეული მომსახურების შედეგად გაფორმებული, მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
3. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი უნდა მოიცავდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.
4. წინასწარი ანგარიშსწორება არ განიხილება.

5. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტების ნუსხა:

- ფასების ცხრილი დანართი №1-ის მიხედვით;
- რეკვიზიტები დანართი №2-ის მიხედვით;

შენიშვნა: პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და სატენდერო დოკუმენტაცია დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი ან მისი ნდობით აღჭურვილი (სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე) პირის ხელმოწერითა და ბეჭდით.

6. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის დებულებები, გარდა სატენდერო დოკუმენტაციი ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული აუცილებელი პირობებისა, არ არის სავალდებულო. ისინი ზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე. გამარჯვებულ პრეტენდენტთან მოლაპარაკების შ დეგად მიღწეული შეთანხმებით შეიძლება დაზუსტდეს წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის დებულებები ისე, რომ არ ეწინააღმდეგებოდეს სატენდერო წინადადებას და სატენდერო დოკუმენტაციაში ასახულ სავალდებულო პირობებს.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № ს გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA.....)

ქ.თბილისი

.2017 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი - , (შემდგომში - შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით და მეორეს მხრივ, (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის სახით, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

2.2 ხელშეკრულების საგანია: სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის საჭიროებისათვის საკანცელარიო ნივთების შესყიდვა დანართის N1 მიხედვით:

II. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს ---- ლარს, რომელიც ითვალისწინებს შესყიდვის ობიექტის მიმწოდებისთვის საჭირო ყველა ხარჯს, ასევე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დღგ-ს ჩათვლით.

III. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, გრაფიკი და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. 3.

IV. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მისი ფაქტობრივი მიწოდების და მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

V. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში საკუთარი სახსრებიდან.

5.2. მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება აუნაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით, შესყიდვის ობიექტის ფაქტობრივად მიწოდების გათვალისწინებით შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3. ანაზღაურების ადგილია ქ.თბილისი.

VI. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის

ღირებულება.

6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

- განახორციელოს ინსპექტირება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- შესაბამისი წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა;

6.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

VII. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. ხელშეკრულების შესრულების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაზე ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი/წარმომადგენლები.

VIII. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწყებს მას დამატებით ვადას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისათვის.

8.3. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ დამატებით ვადაში ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

8.4. ხელშეკრულების მხარეს, მის მიერ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.

8.5. თუ ერთი მხარისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

IX. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები პასუხისმგებელი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევეს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

9.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

X. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. ხელშეკრულებების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს 10%-ისა.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

XI. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

XII. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

12.1. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XIII. სხვა პირობები

13.1. საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

XIV. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

სსიპ „საქართველოს საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“

თბილისი, სანდრო ეულის №3

ტელეფონი: (995 32) 294 22 48;

საბანკო რეკვიზიტები:

სახელმწიფო ხაზინა - TRESGE22

ხაზინის ერთიანი ანგარიში - 200122900

საიდენტიფიკაციო კოდი: 204423230

დირექტორი

ორგანიზაციის დასახელება -----

N	საკანცელარიო საქონელი	cpv	მახასიათებელი	განზ.	რაოდენობა	ფასი	სულ ღირებ	მწარმოებელი ქვეყანა, მარკა და მოდელი
1	ფერადი მარკერი დაფის ფლიპმარტის (შავი, წითელი, მწვანე, ლურჯი ...)	30192125	კორპუსის სიგრძე არანაკლებ 125მმ; თავის სიგრძე არანაკლებ 7მმ/ დიამეტრი არანაკლებ4მმ, სხვადასხვა ფერის	ცალი	1500			
2	საწერი კალამი ბურთულიანი	30192122	ბურთულიანი კალამი თხევადმელნიანი , პლასტმასის გამჭვირვალე ტონირებული კორპუსით, თავსახურით, 0.7 მმ წვერით, რეზინის ერგონომიული ხელსაკიდით, დაბოლოებაზე ფერის აღმნიშვნელი ,პლასტმასის ხუფით.	ცალი	7,000			
3	სკრეპი ფერადი	30197220	33 მმ, შეკვრაში 100ც	ცალი	20			
4	ჭიკარტი ფერადი	30197120	ფერადთავიანი,ლურსმანი, პლასტმასის შეფუთვით; შეკვრაში 35 ცალი	ცალი	200			
5	ფერადი ფურცლები A4	30192122	ფერადი ქაღალდი A4 80გ 100 ფურცელიანი	შეკვრა	100			
6	ფლიფართის ქაღალდი	30197621	60*90, შეკვრაში 20 ფურცელიანი	ცალი	900			
7	სტეპლერის ტყვია 24/6	30197110	№24/6 თვის,მასალის სისქე 57 მკრ, 1000 ცალიანი შეკვრა	კოლოფი	200			
8	კორექტორი თხევადი ფუნჯით	30192160	კორექტორი თხევადი ფუნჯით -20 გრ	ცალი	50			
9	კლიფსი დამჭერი დიდი	30193400	კლიფსი დამჭერი 51 მ.მ- იანი მეტალის,	ცალი	360			
10	კლიფსი დამჭერი საშუალო	30193400	კლიფსი დამჭერი 25 მ.მ -იანი მეტალის,	ცალი	360			
11	CD დისკი	30192000	CD-R 52x700MB	ცალი	400			
12	კალმების ჩასადები საოფისე (მეტალის მოწნული)	30192127	მეტალის ზადე, ოთკუთხედი ფორმის, რეზინის რბილი ჩასაფენით, სიმაღლე არანაკლებ 9,5სმ, სიგანე არანაკლებ 6სმ	ცალი	50			
13	საკანცელარიო დანა სტანდარტული საშუალო	30192000	საშუალო, მეტალის კომბინირებული კორპუსით, სათადარიგო დანის პირით, მრავალჯერადი გამოყენების, საჭრელი პირების შეცვლის და დანის პირის არანაკლებ 10 პოზიციასზე დაფიქსირების ფუნქციით, ტარი პლასტმასის, რეზინის ელემენტებით, დანის პირის მიმართველი და ჩამკეტი ფიქსატორი ლითონის, დანის პირის მიმართველი ბუდის საშუალო სიგრძე არანაკლებ 120 მმ, სიგანე არაუმეტეს 12 მმ	ცალი	30			
14	დაფის საშლელი სითხე	30195700	დაფის საწმენდი სეტი, კომპლექტში საწმენდ ნაჭერთან ერთად	ბალონი	10			

15	ელემენტი პატარა	30192000	ელემენტი პატარა ზომა AAA 1.5 წვრილი	ცალი	200			
16	სწრაფჩამკერი ფერებში	30197200	სწრაფჩამკერი (ლურჯი, წითელი, მწვანე) თხელი პლასტიკური ყდით, მეტალის მექანიზმით	ცალი	1000			
17	A4 ფურცელის დასამაგრებელი დაფა	30192170	სამდივნო დაფა A4 (ტყავის შემცველი ზედაპირით)	ცალი	10			
18	კონვერტი A5 ზომის	30199200	კონვერტი A5 160x230მმ, თვითწებვადი	ცალი	500			

0

ხელმოწერა -----

ბ.ა.



1. პრეტენდენტის რეკვიზიტები	
პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება	
ხელმძღვანელის სახელი, გვარი	
პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი	
საიდენტიფიკაციო კოდი	
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი	
პრეტენდენტის ელექტრონული მისამართი	
მომსახურე ბანკის დასახელება	
ბანკის კოდი	
ანგარიშსწორების ანგარიში	
შესასყიდი საქონლის/მომსახურების დასახელება	
შესასყიდი საქონლის/მომსახურების ღირებულება	
ტენდერის N	

ხელმოწერა -----

ბ.ა.

